

ნინო შარაშენიძე

ქართული ვნის გრამატიკა

სინტაქსი

სასკოლო კურსი

სინტაქსის საკითხები
სქემები, თვალსაჩინოებები
მართლწერის საკითხები
სავარჯიშოები ანალიზისათვის
ტექსტის რედაქტირება
ანალიტიკური კითხვები
ტესტები



ქართული ენის გრამატიკის სასკოლო კურსი დამხმარე სახელმძღვანელოა იმ მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისათვის, რომლებსაც სურთ, კარგად იცოდნენ მშობლიური ენის გრამატიკა.

წიგნში განხილულია ქართული ენის სინტაქსის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, სქემებისა და თვალსაჩინოებების საშუალებით გაადვილებულია მათი ათვისება, მოცემულია საკითხის გასაანალიზებელი სავარჯიშოები, ცოდნის შესამოწმებელი ანალიტიკური კითხვები და ტესტები.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების, მოსწავლეების, აბიტურიენტებისა და ქართული ენის შესწავლით დაინტერესებული პირებისათვის. იგი ქმედით დახმარებას გაუწევს ყველას, ვისაც სურს, იცოდეს ქართული ენის გრამატიკა, წეროს და იმეტყველოს სწორი ქართულით.

ნინო შარაშენიძე

ერთული ენის გრამატიკა
სინტაქსი

სასკოლო კურსი

რედაქტორები

სოლომონ ნოზაძე

ლალი ბაქრაძე

ლალი ჭინჭარაული

დიზაინი და დაკაბადონება

ფატი გაგულია

ყდის დიზაინი

გიორგი ტაბლიაშვილი

© გამომცემლობა „დიოგენი“, 2012

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-533-2

გამომცემლობა „დიოგენი“, თბილისი, ანდრია აფაქიძის 9

ტელეფონი 2 21 33 21

www.diogene.ge

ქართული ენის გრამატიკის სასკოლო კურსი დამხმარე სახელმძღვანელოა იმ მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისათვის, რომლებსაც სურთ, კარგად გაიაზრონ მშობლიური ენის გრამატიკული სისტემა.

ბოლო წლებში გრამატიკისა და ლიტერატურის ინტეგრირებულმა სწავლებამ გამოიწვია ის, რომ მოსწავლეებმა საფუძვლიანად არ იციან მშობლიური ენის გრამატიკა. ეს კი სერიოზულ პრობლემას უქმნის მათი წერითი და ზეპირი მეტყველების დახვენას. გრამატიკის ცოდნა ხელს უწყობს იმ მოვლენათა კარგად გაანალიზებას, რომლებიც მართლწერას უდევს საფუძვლად. გარდა ამისა, უცხო ენის არაერთ მასნავლებელს გამოუთქვამს უქმაყოფილება იმის გამო, რომ მოსწავლეებს არა აქვთ გრამატიკის ელემენტარული ცოდნა, რაც უცხო ენის ათვისების პროცესში მათთვის ძნელად გასაგებს ხდის სხვადასხვა კონსტრუქციას თუ ენაში მოქმედ წესებს.

თანამედროვე მოთხოვნებმა განაპირობა თეორიული და პრაქტიკული თვალთასედვის შერწყმა და ახალი ტიპის სახელმძღვანელოს შექმნა. სწორედ ამის შცდელობაა წინამდებარე კურსი.

სახელმძღვანელოს აგების პრინციპი ამგვარია: **თეორიულ მსჯელობას ყოველთვის წინ უძლვის თვალსაჩინო სქემები, რაც ეხმარება მოსწავლეს, ვიზუალურად და სისტემურად აღიქვას კონკრეტული საკითხი. სახელმძღვანელოში ყოველი თემის შემდეგ მოწოდებულია მართლწერის პრინციპები სათაურით:** „**როგორ ვწეროთ უკეთესად**“. ეს პოზიცია, ვფიქრობთ, იმთავითვე აამაღლებს მოტივაციას და თვალნათლივ წარმოაჩენს გრამატიკული ანალიზის საჭიროებას. სახელმძღვანელოში მოცემულია სავარჯიშოები, რომლებიც ხელს შეუწყობს ათვისებული მასალის გამყარებას. ამ რეპრიკის სათაურია „**სავარჯიშოები ანალიზისათვის**“. წიგნის ბოლოს მოცემულია **დანართი**, რომელიც სინტაქსის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის გაშლას წარმოადგენს. აქვეა მრავალფეროვანი სავარჯიშოები. სახელმძღვანელოს ერთვის **ანალიტიკური კითხვები** და **ტესტები**, რომლებიც დაეხმარება მასწავლებელსა და მოსწავლეს, შეამოწმონ ათვისებული მასალის ცოდნის ხარისხი.

გისურვებთ წარმატებებს!

შინაარსი

ენათმეცნიერება ანუ ლინგვისტიკა	8
რა არის სინტაქსი?	9
სავარჯიშოები ანალიზისათვის	10
რა არის წინადადება	10
სავარჯიშოები ანალიზისათვის	10
წინადადებები შინაარსის (მოდალობის) მიხედვით	12
წინადადება შინაარსის მიხედვით	13
თხრობითი წინადადება	13
კითხვითი წინადადება	13
ძახილის წინადადება	14
კითხვა-ძახილის წინადადება	15
ბრძანებითი წინადადება	15
სავარჯიშოები ანალიზისათვის	16
პუნქტუაციის ნიშნები	18
პუნქტუაცია, ანუ სასვენი ნიშნები	19
დეფისი და ტირე	20
მართლწერის საკითხები	21
სავარჯიშოები ანალიზისათვის	21
სინტაქსური დამოკიდებულების სახეები	24
წინადადების წევრები	25
სავარჯიშოები ანალიზისათვის	25
რა არის სინტაქსური კავშირი	26
რა არის სინტაქსური წყვილი	27
სავარჯიშოები ანალიზისათვის	27
სინტაქსური დამოკიდებულების სახეები	28
სავარჯიშოები ანალიზისათვის	29
წინადადების წევრები	30
წინადადების მთავარი წევრები	31
შემასმენელი	33
მარტივი შემასმენლისა და შედგენილი შემასმენლის გარჩევის ხერხი	34
სავარჯიშოები ანალიზისათვის	35
ქვემდებარე	39
ქვემდებარის ბრუნვები	39
ბრძანებითის ფორმა და ქვემდებარე	40
ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმება	41

ქვემდებარის დახასიათების ნიმუში	43
საგარეჯოშოები ანალიზისათვის	44
მართლწერის საკითხები	44
საგარეჯოშოები ანალიზისათვის	45
დამატება	46
პირდაპირი დამატება	46
ირიბი დამატება	46
დამატებისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხი	47
პირდაპირი და ირიბი დამატების ბრუნვაში დამთხვევა და მათი გარჩევის წესი	47
მართლწერის საკითხები	48
საგარეჯოშოები ანალიზისათვის	48
ნინადადების წევრები	50
უბრალო დამატება	51
საგარეჯოშოები ანალიზისათვის	52
განსაზღვრება	53
ერთ ბრუნვაში დასმულ წევრთა გარჩევის ხერხი	53
საგარეჯოშოები ანალიზისათვის	54
გარემოება	55
ერთნაირი ფორმის ქრონიკული წევრთა გარჩევის ხერხი	56
საგარეჯოშოები ანალიზისათვის	57
განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები	60
რა არის განკერძოება?	61
განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების სახეები	61
საგარეჯოშოები ანალიზისათვის	64
ნინადადების ტიპები აგებულების მიხედვით	66
საგარეჯოშოები ანალიზისათვის	67
მარტივი ნინადადების სახეები წევრთა შედგენილობის მიხედვით	68
შერწყმული ნინადადება	69
საგარეჯოშოები ანალიზისათვის	71
მართლწერის საკითხები	73
საგარეჯოშოები ანალიზისათვის	74
გაუვრცობელი და გავრცობილი ნინადადება	77
სრული და უსრული ნინადადება	77
უქვემდებარო ნინადადება	77
სახელდებითი ნინადადება	78
საგარეჯოშოები ანალიზისათვის	79
რთული ნინადადება	80
რთული თანწყობილი ნინადადება	81
მართლწერის საკითხები	81
საგარეჯოშოები ანალიზისათვის	82
რთული ქვეწყობილი ნინადადება	83
ზერთული ნინადადება	84
საგარეჯოშოები ანალიზისათვის	85
მართლწერის საკითხები	86
საგარეჯოშოები ანალიზისათვის	87

რთული წინადადების გადაკეთება მარტივად	91
უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადება	91
პირდაპირი და ირიბი ნათქვამი	92
მნიშვნელოვანი საკითხები სინტაქსში	93
დ ა ნ ა რ თ ი	99
ტექსტის რედაქტირება	100
შეცდომათა ტიპები	100
სტილისტური შეცდომები (ზოგადი ანალიზი)	101
სავარჯიშოები ანალიზისათვის	102
სინტაქსური კონსტრუქციები	108
მაერთებელი კავშირები	108
1. მაჯგუფებელი კავშირები	108
2. მაცალკევებელი კავშირები	110
3. მაპირისპირებელი კავშირები	111
4. მაიგივებელი კავშირები	111
მაქვემდებარებელი კავშირები	115
1. ადგილი და დრო	115
2. ვითარება (როგორ ხდება მოქმედება?)	116
3. მიზეზი და მიზანი	119
4. სუბიექტი, ობიექტი, განსაზღვრება	121
5. პირობა, შედეგი, გამოიცხვა, განურჩევლობა	124
შემაჯამებელი სავარჯიშოები:	126
მძიმის დასმის ძირითადი პრინციპები	130
სავარჯიშოები	140
უარყოფის სისტემა ქართულში	164
უარყოფის სისტემა ქართულში	164
1. უარყოფის გამომხატველი ენობრივი საშუალებები ქართულში.	164
2. უარყოფის ძირითად ფორმათა განაწილება ზმნის კილოსა და დროის მიხედვით	167
3. შინაარსობრივი შეუსაბამობა ვერ ნაწილაკისათვის	167
4. შინაარსობრივი გადანაწილება	167
მართლწერის საკითხები	168
ანალიტიკური კითხვები სინტაქსი	169
წინადადება შინაარსის მიხედვით	169
პუნქტუაცია, ანუ სასვენი ნიშნები	169
წინადადების წევრები	169
სინტაქსური დამოკიდებულების სახეები	170
წინადადების მთავარი წევრები	170
შემასმენელი	170
ქვემდებარე	171
დამატებები	171
წინადადების არამთავარი წევრები	172
განკურძოება	173
წინადადების ტიპები	173
ტესტები	174

**ენათმეცნიერება ანუ
ლინგვისტიკა**

ლექსიკოლოგია
შეისწავლის
ენაში
არსებულ
სიტყვებს,
არკვევს
სიტყვების
მნიშვნელობას.

ფონეტიკა
შეისწავლის
ბგერებს, მათი
წარმოთქმის
პირობებს და
ცვლილებათა
წესებს.

გრამატიკა
სწავლობს ენის
აგებულებას,
სიტყვათა
ფორმებს და
ფუნქციებს.

სტილისტიკა
შეისწავლის
სიტყვათა
გამოყენების
ხერხებს.

მორფოლოგია
შეისწავლის
სიტყვათა
ფორმებს,
მაწარმოებელ
ელემენტებს
და მათ
მნიშვნელობებს.

სინტაქსი
შეისწავლის
სიტყვათა
დაკავშირების
წესებს და
შესიტყვებებში
სიტყვათა
ფუნქციებს.

1. გაიხსენეთ, რას შეისწავლის ენათმეცნიერება და მოცემული ცხრილის დახმარებით იმსჯელეთ თითოეული დარგის შესახებ.
2. თქვენ უკვე შეისწავლით სახელები და ზმნა. გრამატიკის რომელი დარგი შეისწავლის მეტყველების ნაწილებს?
3. დააკვირდით ცხრილს – რას შეისწავლის სინტაქსი? თქვენი აზრით, რას ნიშნავს სქემაში მოცემული განმარტება? გადმოეცით იგი თქვენი სიტყვებით და მოიყვანეთ მაგალითები.
4. თქვენთვის სასურველი რომელიმე ტექსტიდან ამოიწერეთ რამდენიმე წინადადება. იმსჯელეთ, როგორ შეიძლება განიმარტოს წინადადება? რა შეიძლება ჩაითვალოს წინადადებად?

■ რა არის სინტაქსი?

ჩვენ უკვე ვიცით, რომ მორფოლოგია სიტყვის, ფორმის ავების ხერხებსა და საშუალებებს შეისწავლის. ყოველი ენისათვის ფორმა სხვადასხვაგვარად იგება, ყოველი ენა იყენებს იმ საშუალებებს, რაც მას აქვს. ქართული ენა სიტყვა-ფორმათა ასაგებად ძირსა და აფიქსებს იყენებს. მორფოლოგიდან ჩვენ უკვე შევისწავლეთ სხვადასხვა გრამატიკული კატეგორია და მათი მანარმოებლები.

სინტაქსი გრამატიკის კიდევ ერთი დარგია, რომელიც შეისწავლის არა სიტყვის ფორმებს, არამედ სიტყვათა დაკავშირების წესებს. სხვადასხვა ენაში ეს დაკავშირება, რა თქმა უნდა, სხვადასხვაგვარად ვლინდება. როგორ შეიძლება დავაკავშიროთ სიტყვები ერთმანეთთან? სიტყვათა დაკავშირებისას როდის და როგორ მივიღებთ გამართულ აზრს და როდის – ვერა? რა პრინციპებს ემორჩილება ფორმათა დაკავშირება ქართულში? რომელი შესიტყვებაა სწორი და რატომ? რა არის წინადადება? როგორი აზრი შეიძლება ჩაითვალოს წინადადებად და რომელ შესიტყვებებს ვერ ჩავთვლით წინადადებად? რა სახის წინადადებები არსებობს ენაში? როგორ ხდება წინადადებებში ფორმათა დაკავშირება? რომელი სიტყვები შეიძლება შეეწყოს ერთმანეთს და რომელი – ვერა? რა სახის ურთიერთობა შეიძლება დამყარდეს სიტყვებს შორის? რა დანიშნულება აქვს წინადადებაში ამა თუ იმ სიტყვას? – აი, ამ საკითხებს შეისწავლის გრამატიკის დარგი, რომელსაც სინტაქსი ჰქვია.

სავარჯიშოები ანალიზისათვის

- ზემოთ მოცემული კითხვების დახმარებით თქვენ თავად ჩამოაყალიბეთ სინტაქსის განმარტება; გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული სქემა:

სინტაქსი გრამატიკის დარგია, რომელიც შეისწავლის

- ნაიკითხეთ ერთი აბზაცი რომელიმე ტექსტიდან და დაუკვირდით წინადადებებს: გაიაზრეთ, როგორ უკავშირდება ქართულ ენაში სიტყვები ერთმანეთს? რომელი სიტყვები შეეწყობა ერთმანეთს და რა ფორმას იღებს ეს სიტყვები წინადადებაში? ზემოთ მოცემული შეკითხვებისა და თქვენი განმარტების მიხედვით იმსჯელეთ თითოეული წინადადების შესახებ.

■ რა არის წინადადება

სინტაქსის შესწავლის მთავარი საგანია წინადადება. წინადადება არის სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, წინადადება შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე სიტყვისაგან, მაგრამ აუცილებელია, რომ იგი გამოხატავდეს დასრულებულ აზრს. თუ სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი დასრულებულ აზრს არ გამოხატავს, მას წინადადებად ვერ ჩავთვლით. წინადადება შეიძლება იყოს ერთსიტყვიანი – დალამდა. ცივა. ერთსიტყვიანი წინადადებები ძირითადად ზმური ფორმებია. სხვა შემთხვევაში წინადადებაში აუცილებლად უნდა იყოს ზმნა. უზმნო წინადადება, ჩვეულებრივ, იშვიათად გვხვდება.

წინადადების ბოლოს წერტილი იწერება. წერტილით გამოიყოფა ერთი წინადადება მეორისაგან.

სავარჯიშოები ანალიზისათვის


- ნაიკითხეთ რომელიმე ტექსტი და დაუკვირდით, რამდენსიტყვიანი წინადადებები შეგხვდათ ტექსტში.
- ქვემოთ მოცემულ ტექსტებში არსად არ არის დასმული წერტილი, ანუ წინადადებები ერთმანეთისაგან არ არის გამოყოფილი. ნაიკითხეთ ტექსტი, გამოყავით დასრულებული აზრი და დასვით წერტილი. იმსჯელეთ, როგორ, რა საშუალებებით გამიჯნეთ წინადადებები ერთმანეთისაგან:

ნუგეში (გურამ რჩეულიშვილი)

მეორე ცხვირში დაარტყეს ისევ დაბრუვდა პირველი ყბაში მოხვდა: რატომ-ღაც უფრო ეტკინა, ვიდრე დაბრუვდა მერე დარტყმებს ველარ გრძნობდა მხოლოდ ბუნდოვნად ესმოდა, რომ ხალხი ღრიალებდა თითქოს ამჩნევდა მსაჯის თეთრ ხალათს მკვეთრად მხოლოდ იმის კრივის ხელთათმანებს და ჩამოყრილ თმებს ხედავდა ის დარტყმისას კბილებს კრეჭდა ცქიტო იცილებდა და თვითონაც ურტყამდა მერე იჯდა სკამზე ხალხი დაწყნარდა ვახტანგი ცხვირსახოცს უქნევდა და რაღაცას არიგებდა ჩამოკრეს ახლა ისევ იმის კრივის ხელთათმანებს ხედავდა დაიღალა ურტყამდა უღლონოდ ინანა, ვარჯიშობის მაგიერ რომ სვამდა შექანდა გაბრუებული ეგდო როცა თავი ასწია, მსაჯი აცხადებდა: ნოკაუტით მოიგო მიქელაძემ უხმოდ გაიპარა არინგიდან ცქიტო ჩაიცვა და უკანა კარიდან გავიდა ბიჭები დარბაზში უცდილენებ მათიდანახვა არ უნდოდა რცხვერნოდა მარტო მიღიოდა ქუჩაში და ჩემოდანს იქნევდა ყველანი იქ იყვნენ აგონდებოდა მათი სახეები კრივის დაწყებამდე სახე ახურებოდა მერე ისევ მოაგონდა, რომ მთელი დღე ლოთობდა შეჯიბრებამდე დიდი იმედი ჰქონდა თავის მიქელაძე კი ვარჯიშობდა აჯობებდა აბა რა აბა მიქელაძეს დაელია მისოდენი ალბათ პირველივე რაუნდში დავარდებოდა დაურტყმელად უეჭველად დავარდებოდა სამირაუნდი მაინც გაუძლო, თანაც კარგები აჭამა სულ შემთხვევით მოიგო იმან თავისი ბრალი იყო: სახე დარჩა ღია თან დაიღალა დაიღლებოდა აბა რა, სვამდა აბა მიქელაძეს ესვა ამდენი ამდენი კი არა, მისი ნახევარი მაინც მის ტოლას ყურში ჩაისხა მდა ცქიტო ფიქრებმა ცოტა გული მოუფონა ახლა ჯიბეში ფულს ეძებდა მერე ნაყინი იყიდა და ჭამით განაგრძო გზა

განთავისუფლება (რევაზ ინანიშვილი)

სიმინდს ვთოხნიდი წყალი შემომაკლდა თოხი დავაყუდე, მათარა ავიღე და წყაროზე წავედი წყარო ზემოთ იყო, სათიბების იქით ბილიკს რომ მივუყვებოდი, კუს გადავეყარე – ამ კუს შვილიშვილებს მივგვრი-მეთქი ავიყვანე ჯერ შეიმალა მერე ფარჩხავდა და ასავსავებდა ფეხებს, მაგრამ ამაოდ – ხელიდან ვერ მეშვებოდა საკმაოდ მძიმეც იყო – რად მინდა, რომ ასე ვატარო-მეთქი სუფთა ადგილას ზურგზე დავაწევინე, – კუ ხომ თავისით ვერ გადაბრუნდებოდა, – ჩამოვიკიდი და წავიყვანდი მივედი წყაროსთან წყალი დავლიერ ხელ-პირი დავიბანე გავგრილდი, მათარაც გავავსედა უკან წამოვედი სადაც კუ დავტოვე, იმ ადგილას მეორე კუც დავინახე ზურგზე ამობრუნებულ კუსთან მისულიყო, ფეხებგაფარჩხული და კისერწარვლილი უყურებდა, ერთი ვნახოთ, რას იზამენ-მეთქი გავჩერდი ვუყურებ ზურგზე აბობრუნებული კუ ფეხებს და თავს ასავსავებს მეორე კუ მივიდა, თავი შეაწვდინა წინა ფეხის სახსარზე, დაიძაბა, შეატოტდა იმ ფეხზე, ზურგზე ამობრუნებულმა კუმ გადმოიწია, გადმოიწია ღონივრად, გადმობრუნდა, ერთი მიმოიხედა და გაჩქარებული გადავიდა ბალახიანში მიჰყვა მეორე კუც მიდიოდნენ ერთმანეთის გვერდით, აღმა-აღმა, თან თითქოს აღელვებული მილაპარაკობდნენ, მიატოკებდნენ ბალახებს ისე მომეწონენ, ღიმილითა და ხელის ცისკენ აწევით დავემშვიდობე: – კეთილად გევლოთ! დღე იყო ნათელი, ნათელი, ივნისისა კუნელის კენწეროზე მწყერჩიტა იჯდა და მაღლიდან დაგვგალობდა ყველას



1. თქვენი აზრით, რას გამოხატავს წინადადება? როგორი შეიძლება იყოს იგი შინაარსის მიხედვით?
2. ქართულ ენაში როგორ გამოიხატება შეკითხვა? დაასახელეთ რამდენიმე წინადადება, რომლებიც შეკითხვას გამოხატავს.
3. როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა წინადადებამ ერთდროულად გამოხატოს შეკითხვაც და ემოციაც?
4. როგორ შეიძლება დაწერილ ტექსტში ერთმანეთისაგან გავარჩიოთ ფაქტი, შეკითხვა და მოთხოვნა, თუ მაგალითად, მოცემულია ასეთი წინადადება: **საქმე გააკეთე.**

■ ცინადადება შინაარსის მიხედვით

წინადადება შეიძლება გამოხატავდეს ფაქტს, შეკითხვას, რაიმე გრძნობას ან ემოციას, პრძანებას ან თხოვნას. ამის გათვალისწინებით, წინადადებები შინაარსის, ანუ მოდალობის მიხედვით შეიძლება იყოს რამდენიმე სახისა:

■ თხრობითი ცინადადება

თხრობითია წინადადება, რომელიც გამოხატავს რაიმე ფაქტს, შემთხვევას, მოვლენას, ინფორმაციას. ფაქტი შეიძლება იყოს დადასტურებული ან უარყოფილი. თხრობითი წინადადებები ხშირად გვხვდება თხრობისას, ზღაპრებში, მოთხრობებში, რომანებში, საგაზეთო სტატიებში. ეს წინადადების ყველაზე გავრცელებული სახეა.

თხრობითი წინადადების ბოლოს წერტილი იწერება.

■ კითხვითი ცინადადება

კითხვითი წინადადება გამოხატავს შეკითხვას. კითხვითი წინადადება ძირითადად მიმართულია სხვა პირისაკენ და მოითხოვს გარკვეულ ინფორმაციას, დადასტურებას ან უარყოფას.

კითხვითი წინადადებაში ხშირად გვხვდება კითხვითი სიტყვა. ასეთი სიტყვებია: ვინ, რა, სად, როდის, რატომ, როგორ, როგორი, რომელი, რანაირი, საიდან, საითკენ, როდიდან, რისთვის, რატომ, რამდენად, რამდენჯერ, რა ზომით...

ვინ მოვიდა?

რატომ არ მოვიდა?

როგორი ამინდია?

როგორ ხარ?

საითკენ მიდის გზა?

საიდან მოდიხართ?

რისთვის გჭრდება ფული?

კითხვითსიტყვიან წინადადებაში მახვილი კითხვით სიტყვაზე მოდის: **ვინ მოვიდა?**

კითხვით წინადადებაში ასევე შეიძლება შეგვხვდეს კითხვითი ნაწილაკები: **ნუ-თუ, განა, აკი, ხომ:**

ნუთუ ეს მოგწონს?

განა შენ ეს არ გაქვს?

აკი მითხარი, მოვალო?

ხომ მოდიხარ?

კითხვით წინადადებაში შეიძლება არ იყოს კითხვითი სიტყვა, მაგრამ იგი მაინც გამოხატავდეს შეკითხვას. ამგვარ წინადადებას თხრობითი წინადადებისაგან განასხვავებს ინტონაცია. თუ წინადადებაში კითხვითი სიტყვა არ არის, მაშინ მახვილი ზმნაზე იქნება: **გიორგი მოვიდა? საჭმელი გაკეთდა? და-ძმა გყავს? შეიძლება ამგვარ წინადადებაში ზმნა ბოლოს არ იყოს, მაგრამ მახვილი მაინც ზმნაზე იქნება: მოვიდა? გიორგი? გაკეთდა? საჭმელი? გყავს და-ძმა?**

კითხვითი წინადადების ბოლოს კითხვის ნიშანი იწერება.

■ ძახილის წინადაღება

ძახილის წინადადება გარკვეულ ემოციას, გრძნობას გამოხატავს. ძახილის წინადადებით შეიძლება გამოხატული იყოს სიხარული, ალტაცება, ალფროვანება, შიში, ალშფოთება, გაკვირვება, გაოცება, ნატვრა, მწუხარება, ზიზღი, დანანება... მაგალითად:

რა ლამაზია!

რა ბედნიერებაა!

რა საშინელებაა!

როგორ შემეშინდა!

ოჰ, ნეტავ კი ასე მოხდეს!

ძახილის წინადადებებს შეიძლება სულ სხვადასხვაგვარი ინტონაცია ჰქონდეს, რაც წინადადების შინაარსზეა დამოკიდებული. მასში შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა შორისდებული, რაც ძახილის წინადადებაში გამოხატულ გრძნობას ამკვეთრებს. ძახილის წინადადების ბოლოს ძახილის ნიშანი იწერება.

ქართულ გრამატიკაში კიდევ გამოყოფენ ორი სახის წინადადებას:

■ კითხვა-ძახილის ცინადაღება

კითხვა-ძახილის წინადაღება შეკითხვის ფორმითაა გადმოცემული, მაგრამ იგი ჩვეულებრივი კითხვითი წინადაღებისაგან იმით განსხვავდება, რომ თანამოსაუბრისგან ინფორმაციას, დადასტურებას ან უარყოფას კი არ მოითხოვს, არამედ მასში თავად მთქმელის დამოკიდებულება, ემოცია, განწყობა ჩანს.

მაგალითად:

ასე როგორ მოიქეცი?! ამ წინადაღებაში არის კითხვითი სიტყვა – როგორ, ანუ მას კითხვის ფორმა აქვს, მაგრამ რეალურად მთქმელი პასუხის გაცემას არ მოითხოვს, წინადაღება შინაარსობრივად თავადვე გამოხატავს გარკვეულ ემოციას, განწყობას, დამოკიდებულებას; კონკრეტულ წინადაღებაში ჩანს მთქმელის აღშფოთება, გაოცება ჩადენილი საქციელის გამო. ამიტომაც დაიწერება ამ წინადაღების ბოლოს ორი ნიშანი.

კითხვა-ძახილის წინადაღებამ შეიძლება გამოხატოს სხვადასხვა ემოცია:

განა შეიძლება ასეთი დაუნდობლობა?! (გაოცება, გაკვირვება, აღშფოთება)
ეს როგორ მაკადრე?! (აღშფოთება, გაკვირვება)

მართლა შენ გააკეთე ეს?! (მოწონება, გაოცება ან აღშფოთება)

კითხვა-ძახილის წინადაღების ბოლოს იწერება ორი ნიშანი – კითხვისა და ძახილის ნიშნები ერთად: ჯერ კითხვის ნიშანი, შემდეგ კი – ძახილის ნიშანი: ?!

■ პრაცეპითი ცინადაღება

პრაცანებითი წინადაღება გამოხატავს პრაცანებას, მოწოდებას, მოთხოვნას, ანუ მთქმელი მოითხოვს ზმინით გამოხატული მოქმედების შესრულებას. მაგრამ ზოგჯერ იგი შეიძლება გამოხატავდეს რჩევა-დარიგებას, გამხნევებას, თხოვნას, ხვენა-მუდარას, დალოცვას, წყევლას...

წაიკითხე!

ნუ აკეთებ!

ნუ გეშინია!

არ შეგეშინდეს!

გულს ნუ გაიტე!

პრაცანებითი წინადაღება შეიძლება იყოს წართქმითი და უკუთქმითი: წართქმითია წინადაღება, რომელიც მოითხოვს მოქმედების შესრულებას, ხოლო უკუთქმით წინადაღებაში აკრძალულია მოქმედების შესრულება:

გააკეთე!

არ გააკეთო!

ნუ აკეთებ!

დაწერე!

არ დაწერო!

ნუ დაწერ!

სავარჯიშოები ანალიზისათვის

1. თქვენ თავად შეადგინეთ წინადადებები და მიუთითეთ, რამდენი სიტყვისა-
გან შედგება იგი.
2. თქვენთვის სასურველ რომელიმე ტექსტში მოძებნეთ წინადადებები, რო-
მელთა ბოლოს ძახილის ნიშანია დასმული და იმსჯელეთ, რა სახის წინადა-
დებაა და რას გამოხატავს.
3. ნაკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი და იმსჯელეთ თითოეული წინადა-
დების შესახებ შემდეგი საკითხების გათვალისწინებით: რამდენი სიტყვისა-
გან შედგება წინადადება, შინაარსის მიხედვით როგორი წინადადებაა, რა
ნიშანი ინერება მის ბოლოს და რას გამოხატავს იგი:

დათუნა (ნაწყვეტი გურამ რჩეულიშვილის მოთხოვნიდან)

— დათუნა! დათუნა! — მოესმა ბავშვს შორიდან დედის ხმა.

დათუნამ ერთხანს ყური მიუგდო, მერე ჯობის ცხენს შემოჰკრა მათრახი და
პატარა პარდებზე ხტუნაობით წყაროსკენ გაიქცა.

— დათო! — კვლავ მოეწია წყაროსთან დედის ხმა.

დათუნა შემობრუნდა, დაიფრუტუნა, დაიჭიბებინა და ბუზღუნით სახლისკენ
გამოჭერდა, — „უჲ, ახლა გოგლიმოგლი გამიჭირებს საქმეს, ან რძე, უჲ!“ —
გააურუოლა ტანში ბავშვს, უცებ წინ ხვლიკმა გაურბინა. მან სწრაფად მოიმარჯვა
თავისი ჯობის ცხენიდა ქვეწარმავალს დაარტყა. ხვლიკმა კუდი ადგილზე დატოვა,
თვითონ კი სასწრაფოდ მიიმალა. დათუნამ დაიწყო ჯაგების ქექვა, შემდეგ რაღა-
ცა სორო იპოვა და ჯობით ამოჩიჩქნა.

— დათო, ბიჭო, არ გესმის, დედარომ გეძახის? წამო ახლავე სახლში, — წყნარად
უთხრა თავზე წამომდგარმა მამამ, დათუნადაემორჩილა და ფეხათრევით გაპყვა.

— ბიჭო, შენ ახლა უკვე ბავშვი კი აღარა ხარ, ხვალზევით თოთხმეტი წლისა
ხდები.

დათუნამ ეშმაკური თვალებით გახედა წყალზე საწუწაოდ მიმავალ ტიტლი-
კანა სწორებს და უნებლიერ ხელი გამოსტაცა მამას, მაგრამ ადგილიდან არ და-
რულა.

მამამ წყნარად გამოხედა, მერე მხარზე დაადო ხელი და საუბარი განავრძო:

— ბიჭო, მე რაზე გელაპარაკები, შენ კი სულ ცელქობაზე გიჭირავს თვალი!
ცელქობა კარგია, რა თქმა უნდა, ძალიანაც კარგი, მაგრამ უნდა იცოდე დრო. მე
სამი დღის მერე მივდივარ თბილისში და ოჯახი შენ უნდა დაგიტოვო. შენ იცი,
როგორ დაუჯერებ დედას და მოუვლი შენს პატარა ძმებს. ახლა დედას გაუგონე
ყველაფერი და დაბადების დღეზე ისეთ საჩუქარს მოგიტან, როგორიც არც ერთ
შენს ტოლს არ ექნება... მე მგონი, მისი ღირსი შენ უკვე ხარ.

დათუნამ ყურადღება დაძაბა.

— რას, მამა? — ვეღარ მოითმინა პატარამ. მამამ გაუღიმა.

— მოითმინე ცოტა. ეგეც ვაჟკაცობაში შედის. კარგი ვაჟკაცი ყოველთვის
მომთმენია.

II. იმსჯელეთ, შინაარსის მიხედვით რა ტიპის წინადადებაა და დასვით შესაბამისი სასვენი ნიშანი:

1. ახალგაზრდა პოეტი დიდი აღფრთოვანებით კითხულობდა საკუთარ ლექსს
2. ნეტავ, როდის იქნება, რომ ჩემი გოგონა სტუდენტი გახდება
3. პატარა ბავშვა ასეთი რამ როგორ უნდა გაბედოს
4. როგორ მოხდა, რომ აქამდე არაფერი ვიცოდი ამ ამბის შესახებ
5. შენი სახელი
6. ვისთან ერთად მიდიხარ თეატრში
7. ამოვიდა მზე პორიზონტი წითლად აელვარდა
8. განა ეს ამბავი შენთვის ახალია ნუთუ აქამდე არავის არაფერი უთქვამს შენთვის
9. რა ლამაზია ზღვაზე მზის ჩასვლა
10. ნუ ჩეარობ, ნელა ვააკეთე
11. გოგონა ფორტეპიანოსთან დაჯდა და ლამაზი მელოდიის დაკვრა დაინტენდება
12. წინ ნუ მიდგები, გაიწიე
13. სად იყავი როდის მოხვედი ამდენი ხილი რად გინდოდა
14. სალამო იყო მზე ჯერ არ ჩასულიყო მოხუცი დიდი სახლის აივანზე იჯდა და პორიზონტს გაპყურებდა
15. რატომ გინდა, მდგომარეობიდან გამომიყვანო
16. სად მიდიხარ ასე გვიან
17. საიდან არის შენი სტუმარი
18. რა ლამაზი ხარ
19. ლეკვი კუდის ქიცინით ეთამაშებოდა პატარა ბიჭს
20. რისთვის ვიყიდე ეს წიგნები, თუ არ წაიკითხე
21. რა მისამართზე ცხოვრობ ახლა
22. ადიდებული მდინარე ხმაურით მოდიოდა
23. დიდი ხანია ნიკო გერმანიაში ცხოვრობს
24. ეს არის შენი ერთგულება
25. ო, რა ძნელია მარტოობა
26. ასე მეორეჯერ არ მოიქცე
27. დაღამდა სიჩუმე ჩამონვა
28. მითხარი, რა გინდა
29. ნუ ხმაურობთ, ბავშვებო
30. დილის გრილი ნიავი სიცოცხლის ხალისს აძლევდა ანას

პუნქტუაციის ნიშნები

.	წერტილი. წინადადება გამოხატავს რეალურ ფაქტს.
?	კითხვის ნიშანი. წინადადება გამოხატავს კითხვას (შეკითხვას).
!	ძახილის ნიშანი. წინადადებით გამოხატულია რაიმე განცდა, ემოცია.
?!	კითხვა-ძახილის ნიშანი. წინადადება ერთდროულად გამოხატავს კითხვას და ემოციას.
;	წერტილ-მძიმე. ერთი წინადადებით გამოხატული აზრი დასრულებულია, მაგრამ იმავე აზრს აგრძელებს მომდევნო წინადადება.
:	ორნერტილი. დაისმის ჩამონათვალის ან ციტირების წინ.
...	მრავალწერტილი. წინადადება დასრულებულად არ გადმოსცემს აზრს, მასში კიდევ რაღაც იგულისხმება (ამ ნიშნით ავტორი მკითხველს აზრის მიხვედრისათვის, დაფიქრებისათვის ამზადებს).
„ “	ბრჭყალები. ბრჭყალებში თავსდება სათაური, დასახელება, ციტატა, ირონიით გამოყენებული სიტყვა.
()	ფრჩხილები. ფრჩხილებში თავსდება დამაკონკრეტებელი ან განმარტებითი ინფორმაცია.
,	მძიმე. პუნქტუაციური ნიშანი, რომლის გამოყენება გარკვეულ წესებს გულისხმობს (იხ. დანართი).
<p>ყველა ამ ნიშანს თავისი დანიშნულება და ადგილი აქვს.</p> <p>მათი გამოუყენებლობა ან ერთმანეთში არევა აზრს ძნელად გასაგებს გახდის.</p>	

1. თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა აქვს პუნქტუაციის ნიშნებს ტექსტში?
2. წარმოიდგინეთ, რომ ტექსტში არცერთი პუნქტუაციის ნიშანი არ არის. რა პრობლემები შეიქმნება ამგვარი ტექსტის კითხვისას და გაგებისას?
3. დაუკვირდით ქვემოთ მოცემულ ტექსტს და იმსჯელეთ მის შესახებ:

მე შეგნიშნე რომ როცა იმათ ეშლებოდათ მაშინ აქნევდი თავს მართალია თუ არა ნუ გეშინია მითხარი დიახ უნებურად მაგალითად რა შეეშალათ აქლემი გაფრინდებაო რომ მოგახსენეს ეტყობათ არ უნახავთ აქლემი შენ შენ სად გინახავს შარშან თათრებმა ჩაატარეს მოედანზე ძლივს მიიფხორებოდნენ მერე რა იცი რომ ვერ გაფრინდება ფრთები არა აქვს რასაც ფრთები არა აქვს ვერ გაფრინდება მაგალითად კაცი ვერ გაფრინდება ვერა

- მე შეგნიშნე, რომ, როცა იმათ ეშლებოდათ, მაშინ აქნევდი თავს. მართალია თუ არა? ნუ გეშინია, მითხარი!
- დიახ, უნებურად!..
- მაგალითად, რა შეეშალათ?
- აქლემი გაფრინდებაო, რომ მოგახსენეს, ეტყობათ, არ უნახავთ აქლემი!
- შენ? შენ სად გინახავს?
- შარშან თათრებმა ჩაატარეს მოედანზე; ძლივს მიიფხორებოდნენ.
- მერე რა იცი, რომ ვერ გაფრინდება?
- ფრთები არა აქვს.
- რასაც ფრთებია არა აქვს, ვერ გაფრინდება? მაგალითად, კაცი ვერ გაფრინდება?
- ვერა.

(აკაცი, „ჩემი თავგადასავალი“)

■ პუნქტუაცია, ანუ სასვენი ნიშნები

სასვენ ნიშანთა ხმარების წესებს პუნქტუაცია ეწოდება. „პუნქტუმ“ ლათინური სიტყვაა და ნიშანვს წერტილს.

წერისას ჩვენ შემდეგ სასვენ ნიშნებს ვიყენებთ:

- ❖ წერტილი დაისმის ყველა იმ ნინადადების ბოლოს, რომელიც რეალურ ფაქტსა და დასრულებულ აზრს გამოხატავს: **დღეს წვიმს. დღეს არ წვიმს.**
- ❖ კითხვის ნიშანი გამოხატავს კითხვას. კითხვით ნინადადებაში შეიძლება იყოს კითხვითი სიტყვა (**როდის მოხვედი?**), შეიძლება – არ იყოს (**ხვალ მოხვალ?**). კითხვის ნიშანი აუცილებლად იწერება, თუ კითხვაზე პასუხი მოითხოვება (**წახვალ?** – არა). კითხვის ნიშანი იწერება რიტორიკული კითხვის შემდეგაც – განა დიდებული არ არის **მყინვარი?**
- ❖ ძახილის ნიშანი იწერება ნინადადების ბოლოს, რომელიც რამე განცდას, ემოციას ან პრძანებას გამოხატავს (მოწოდება, მოწონება, აღტაცება, სისარული, აღფრთოვანება, დანანება, შეშფოთება, შიში, აღელვება...): **საოცარია! რა ლამაზია! რა სამწუხაროა! ვაიმე, ძალლი!**

- ❖ კითხვით-ძახილის ნიშანი იწერება წინადადების ბოლოს, რომელიც ერთ-დროულად გამოხატავს 1. კითხვას, მაგრამ ისეთს, რომელიც პასუხს არ ითხოვს და 2. მთქმელის დამოკიდებულებას მისივე ნათქვამისადმი – ემოციას, განცდას. ამგვარ წინადადებაში თითქოს ჩანს კითხვა, მაგრამ ამ კითხვაზე თავისივე პასუხი, ანუ ემოციური დამოკიდებულება აქვს მთქმელს. **ასე როგორ მოიქცი?**! (კითხვა + აღშფოთება)
 - ❖ წერტილ-მძიმე იწერება ვრცელ ეპიზოდში, როცა ერთი წინადადება თითქოს დასრულებულია, მაგრამ მომდევნო წინადადება განავრდობს იმავე აზრს და ავტორს არ უნდა მათ შორის აზრობრივი კავშირი გაწყვიტოს: **ორივე და-ამნუხრა** ამ ამბავმა; **ორივეს სევდანარევი ღიმილი დაჰკრავდა სახეზე.**
 - ❖ ორნერტილი იწერება ჩამონათვალის ან ციტირების წინ, აგრეთვე პირდაპირი ნათქვამის წინ, ავტორისეული სიტყვების შემდეგ: **დედამ შვილს უთხრა:** – **სახლში არ დაიგვიანო!**
 - ❖ მრავალნერტილი იწერება უთქმელი, მაგრამ ნაგულისხმევი, მისახვედრი აზრის გამოსახატავად: **მერე... აბა, რა გითხრა...**
 - ❖ ბრჭყალებში იწერება:
 1. სათაური (ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“);
 2. ციტატა;
 3. დასახელება (კაფე „ექსცესი“, გაზეთი „თბილისი“);
 4. ირონიული მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვა ან აზრი (ლუარსაბი დიდად „გონიერი“ გახლდათ).
 - ❖ ფრჩხილებში იწერება დამაკონკრეტებელი ან განმარტებითი ინფორმაცია.
 - ❖ მძიმე პუნქტუაციური ნიშანია, რომლის გამოყენება გარკვეულ წესებს გულისხმობს (იხ. დანართი).
 - ❖ დეფისი შედარებით მოკლე ხაზით გამოიხატება და გამოიყენება ორ შემთხვევაში:
 1. ორცნებიან რთულ სიტყვებში (კომპოზიტებში): დედ-მამა, დედა-შვილი, ცოლ-ქმარი...
 2. სიტყვის გადატანისას: სა-დი-ლი, მა-ტა-რე-ბე-ლი...
 - ❖ ტირე დეფისთან შედარების უფრო გრძელია.
- ტირე იწერება:
1. გამოტოვებული სიტყვის ნაცვლად:
- იმ ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე. (გამოტოვებულია ზმნა: მოჰყვა)
2. დიალოგებში პერსონაჟისა და ავტორის სიტყვების გასამიჯნავად:
- ვინ მოვიდა? – ჰკითხა ნათიამ დედას.